

ქართული სპექტაკლების პროგრამა ფესტივალის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს და გასული სეზონის შეჯამებაა. ქართული თანამედროვე თეატრის გასაცნობად, ერთობლივი და გაცვლითი პროექტების დასაგეგმად პროდიუსერები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან სტუმრობენ თბილისს. 11 წლის განმავლობაში საერთაშორისო სტუმრების რაოდენობა 600-ს აღემატება, ნათამაშები გვაქვს ოთხასამდე ქართული წარმოდგენა. წლიდან წლამდე იზრდება ინტერესი ქართული თეატრის მიმართ და ასევე იზრდება საერთაშორისო საგასტროლო რუქა სადაც მიწვეულნი არიან ქართული თეატრალური დასები.

2019 წელს დარეგისტრირებული სტუმრების სია 130 ადამიანისგან შედგება, მათ შორის არიან დელეგაციები ჩინეთიდან და ბრიტანეთიდან.

წელს ქართული სპექტაკლების პროგრამა გაიმართება 2 ოქტომბრიდან - 6 ოქტომბრის ჩათვლით!

5 დღის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება 29 ქართული წარმოდგენა, როგორც დედაქალაქიდან ასევე რეგიონებიდან (ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, გორი, ზუგდიდი, ჭიათურა, მარნეული, თელავი)

კრიტიკოსთა ასოციაციის მიერ რეკომენდირებულია - 11 სპექტაკლი

შოუქეისის განმავლობაში გაიმართება 5 სპექტაკლის პრემიერა